№ 65 მარტი 25, კვირა — 1890 — მარტი 25, კვირა № 65

| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აკაკიევის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვი-ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად აზნაურო ბანკისა აუწყებს ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთ და წევრთ მსესხებელთ, რომ ბანკის წესდების მე-82 § ის ძალით 1890 წლის 12 აპრილს, დილის 10 საათზედ დანიშნულია საერთო კრება წევრთა სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზედ, ქ. ტფილისს.

კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი საგნები:

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1889 წლის განმავლობაში;

2) მოხსენება ბანკის მართველობისა სავარაუდო ხარჯთა აღრიცხვაზედ 1890 წლისათვის;

3) მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ იქმნენ ხოლმე ამიერიდგან არჩეულნი დამფასებელნი;

4) მოხსენება იმის თაობაზედ, თუ როგორ შეიცვალოს წესდების მე 82 § ი, რომელიც მართველობის წევრთა და ბანკის მსახურთა %-ობით დაჯილდოვებას შეეხება;

5) მოხსენება იმის გამო, რომ შევსებულ იქმნას წესდების მე 26 27, 28, 29 და 53 §§ ი და ბანკს ნება დაერთოს ხუთ სარგებლიან გირავნობის ფურცელთა გამოცემისა;

6) მოხსენება იმის თაობაზედ, თუ როგორ განაწილდეს საყოველთაო საჭიროებისათვის 35% წმინდა მოგებისა;

7) მოხსენება ბანკის სადგომზედ მეორე სართულის აშენების შესახებ.

და 8) არჩევანი: ზედამხედველ კომიტეტის ერთის წევრისა, ნაცვლად გ. ს. განძიელისა; მართველობის ერთის წევრისა, ნაცვლად თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილისა, და ამ თანამდებობის ორის კანდიდატისა; დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, ნაცვლად თ. ლ. ჩერქეზიშვილისა და ვ. სულხანიშვილისა, და იმათის ორის კანდიდატისა,—რომელნიც რიგისამებრ ანებებენ თავს სამსახურს. (7—4)

---

ტფილისი, 24 მარტი

თანდათან ირკვევა, რომ თ. ბისმარკი ძალიან გულ-გამწყრალია სამსახურიდგან დათხოვნის გამო. წინაპირველად ყველას ეგონა, რომ მოხუცი კანცლერი განშორდა თავის ახალგაზდა ხელმწიფეს სიტკბოთი და სიყვარულით. ან ვინ იფიქრებდა სხვას რასმე, რაკი იცოდნენ, რომ იმპერატორი ღრმად პატივის-მცემელია თ. ბისმარკისა და ეს პატივისცემა იქამდე იყო მიღწეული, რომ ვილჰელმი თავის მამის წყენასაც არ მოერიდა და მაშინ, როცა განსვენებულმა ფრიდრიხმა ავის თვალით დაუწყო ყურება ბისმარკს, ეხლანდელმა იმპერატორმა და მაშინდელმა მემკვიდრემ საქვეყნოდ უთხრა ბისმარკს, შენ პირველი კაცი ხარ გერმანიაში და ყველა ერთგული გერმანიისა შენის დროშის ქვეშ უნდა იდგეს და სიცა წახვიდე, თან გამოგყვესო.

დიდი ხანი არ არის მას აქედ, რაც ესეთი ქება და დიდება შეასხა იმპერატორმა ვილჰელმმა ამ მართლა-და გამოჩენილს კაცსა და ეხლა უცებ თითონვე ფეხი გამოჰკრა და ძირს დასცა. ყველანი იძახიან, რომ ეს დიდი გამბედაობაა იმპერატორის მხრითაო. მართალიც არის. თ. ბისმარკი —რაც გინდა სთქვით,— გერმანიის ერისათვის მეტის-მეტ დიდების შარავანდედით არის მოსილი. არიან იმისთანანი, რომელნიც მის სახელს თითქმის ღოცულობენ და რომელთაც ჰგონიათ, რომ უბისმარკოდ გერმანია უილაქნო ხომალდია ამ წუთი-სოფლის ზღვაშიაო.

რასაკვირველია, რომ გერმანიელთ ესე ეგონათ, თითქმის მთელი ევროპაც ასე უყურებს დღევანდელს უბისმარკო გერმანიას. მართალია: დიდი შეკუა და გამოცდილება მოაკლდა გერმანიას, რაკი საქმის გამგებელად ბისმარკი აღარა ჰყავს. ამის გერმანიაში ბევრნი სწუხან და ამ წუხილმა ეხლა დაიწყო თავის გამოჩენა. გერმანიის გაზეთები ეხლა თითქმის ორად გაიყვნენ: ერთნი ბისმარკის სამსახურიდამ გასვლას ჰგლოვობენ და მეორეებს უხარიანთ. იგი გაზეთები, რომელნიც დღეს აქამომდე ბისმარკის წყალობით ჰრჩებოდნენ და სულ თვალებში შეჰყურებდნენ, აცა რას გვანიშნებს, რომ ისე მოვიქცეთ და ისე ვილაპარაკოთო, დღეს მარტო ბისმარკის ქებაში არიან და იმის ჩივილში, რომ ამისთანა კაცი იმპერატორმა ასე ადვილად გამოიმეტა. ეს გაზეთები ათას ნაირ ხმასა ჰყრიან იმისთანას, რომ კაცს შეუძლიან იფიქროს ვითომც იმპერატორი შესცდა და ტყუილუბრალოდ დაითხოვა კაცი, რომელსაც, არამც თუ მარტო გერმანია, მთელი ევროპაც-კი მადლობით უნდა იხსენიებდეს, რადგანაც როგორც გერმანია, ისეც მთელი ევროპა მისის წყალობით უომრად გადურჩნენ ამოდენა მიზეზებს წეწვა-გლეჯისას და ჩხუბისასაო. ეხლა-კი ვინ იცის რა მოჰხდება და ხვალინდელი დღე რას მოუტანს ან გერმანიას, ან ევროპასაო. ამ გაზეთების სიტყვით, კიდეც ვითომ იმედია, რომ უბისმარკოდ იმპერატორი ვერას გააწყობს და ისევ მოიწვევსო. ამის დასამტკიცებლად მოჰყავთ რაღაც ჭორი, ვითომც თითონ ბისმარკს უთქვას: მე ხელახლად მომნახვენო.

---

## ფელეტონი

### ხიდია ჩატეხილი

მოთხრობა

### XVII*)

6 იანვარს თავად-აზნაურთა სკოლის ბალი იყო.

დიდს, გაჩაღებულს დარბაზში მუსიკის ხმა ყურს აყრუებდა. მაგრამ იქ, სადაც ხელ-ჩაკიდულნი ქალ-ვაჟნი გულითა და თვალით ელაპარაკებიან ერთმანეთს, იქ ყურთა სმენა საჭირო არ არის. ამ დიდს დარბაზის გვერდით, რათა სალამოსთვის ქართველური ფერი მიეცათ, დიდს ოთახში საზანდრების დასტა ჩამოესკუპებინათ, მაგრამ მათ ყურს არავინ უგდებდა. მხოლოდ ათაში ერთხელ მოისმოდა მეორე პატარა ოთახიდგან ხმა რომლისამე ლოთი-ფოთისა და დარდიმანდისა: ჰაჯან, ჰაჯან!.. აფერუმ!

ამ პატარა ოთახში შეკრებილიყვნენ ყველა დინჯნი და დარბაისელნი: დირექტორები, მსაჯულები, ნოტარიუსები, აგენტები, ჩვენი ყურთმაჯიანები, ყველა მძღრები და მაშასადამე პროგრესისტები, და მხიარულად ქაღალდს თამაშობდნენ, ერთობოდნენ და ერთმანეთს ფულებს სცინცლავდნენ.

— ი სულელი დათიკო რომ თავს იკლავს და ხალხში თავს არა ჰყოფს! სთქვა ერთმა: ვითომ რაო? ცოლი ვის არ გაჰყრია. კიდევ ღმერთს მადლობა შესწიროს, რომ არ გაჰქცევია!

— ხა, ხა, ხა! სწორედ რომ ჭეშმარიტია! ჭორად ამბობენ, ვითომ ნიღილაშვილის ქერივს ძალად გაუთხოვებიაო, სთქვა მეორემ.

— ქალის მოგონილი ჭორია! მე ისიც გავიგონე, ვითომ ქალს ნიკო ჰყვარებია.

— აბა, ეგ რაღა სათქმელია! ინსტიტუტის ქალი ეის გამოსადგომია!

— ჭეშმარიტად, რომ სახლში შესაშვებნი არ არიან! რომ აღარც არავის ილებენ?! ზედ გადავაკვდი, მთელის წლის ფულს წინად ვაძლევდი, მაგრამ პირჯვარი ვერ დავაწერინე და შვილი ვერ მივაღებინე, ვაკანსია არ არისო!

— თქვენგან არ მიკვირს, რას ეხვეწებოდით?!

— თქვენ არ მომიკვდეთ, მე ეხლა იქ ქალი არ მივეც!

— ექვსი პიკი, გააწყვეტინა მესამემ.

— თქვენ ითამაშეთ, ფასი ვარ.

— აიგერ, ბატონებო, რომ არ გჯეროთ: ნიკო ნიღილაშვილის ქალს ელაპარაკება! მამა არ წამიწყდეს, მე აქ არ მოვიცადო. წავალ, ყურს დავუგდებ იმათ ლაპარაკს.

საზანდრების ოთახის კარებთან აყუდებულს ნიკოს მორცხვად თავი დაეღუნა და ვარინკას ლაპარაკს ისმენდა:

— მე ვიცოდი, რომ ეს ორი კვირაა, რაც ქალაქში ჩამოხვედით და თქვენის მოლოდინით სახლიდგან გარედ არ გავდიოდი. დღესაც განგებ მოვედი აქ, რადგანაც დარწმუნებული ვიყავ, რომ აქ შეგვხვდებოდით და ანგარიშს მოგთხოვდით.

— უკაცრავადა ვარ, ვარვარა ქაიხოს...

— ბარემდ ბაბუშკა დამიძახეთ! გააწყვეტინა ხიცილით ვარინკამ: მე ეხლა m-me ვარინკა ვარ.

— M-me ვარინკა, დაიწყო ნიკომ ღიმილით— დანაშაული მაქვს, რომ აქამდის ვერა გნახეთ. მაგრამ ამის მიზეზი ავადმყოფობა იყო. ორის დღით ჩამოვედი და აგერ ორი კვირა მომიგვიანდა... კიდევ რაღაცეები უნდა ეთქვა ნიკოს ბოდიშის მოსახდელად, მაგრამ ვარინკამ აღარ აცადა:

— კმარა. მე თქვენსავით უგულო არა ვარ. მიპატიებია. მაგრამ თქვენც ხომ მაპატიებთ?!

— რას? ჰკითხა ნიკომ.

— რას?! განა არ იცით, რას!! ოჰ, კაცები რა ეშმაკები და რა უგულოები ხართ! თქვენ თქვენს თავს ყველაფრის ნებას აძლევთ და თუ ჩვენ ქალებს როგორმე... არა! m-r ნიკო, მართლა მითხარით! ხომ იცით, რომ მე პირდაპირობა მიყვარს? ნუ თუ თქვენც მკიცხავთ, თქვენ, ევროპიულად განათლებული კაცი?! ნუ თუ მე ჩემი თავისუფლება, ჩემი სიყვარული რაღაც საზოგადოების შეცდომილის შეხედულობისათვის უნდა მემსხვერპლა?!.

— მე...

— არა, მოიცათ, მოიცადეთ! ჩემი ყოფა წარმოიდგინეთ: ადამიანი, რომელიც არ გიყვართ, რომელიც გეზიზღებათ, ახლო როგორ უნდა მიიკაროთ! ახლო-მეთქი! იმასთან მეუღლობა, იმასთან ცხოვრების შეკავშირება როგორ უნდა შემძლებოდა, როდესაც ჩემა ახლო მე ჩემი იდეალი მყავდა. იდეალი, რომელიც მიყვარდა და რომლისაც მზად ვარ ჩემი სიცოცხლე მსხვერპლად მივუტანო!.. არა, მიპასუხეთ პირდაპირ. მე თქვენს გალანძღვასაც სიამოვნებით მოვისმენ, ოღონდ...

— m-me ვარინკა, მე თავისუფლების წინააღმდეგი არასოდეს არა ვყოფილვარ...

— კმარა!.. ეგ პასუხი კმარა. მაშ რატომ წერილის პასუხი არ მომწერეთ და კინაღამ დამაკლდებ?

— მე ცოლი მყავს...

— ცოლი გყავთ?! გაიკვირვა ვარინკამ: დიდი ხანია?

— ეს ნახევარი წელიწადია...

ვარინკა პატარა ხანს ჩაფიქრდა. მაგრამ ისევ მალე თავისებურის მხიარულებით განაგრძო:

— მერე ეგ რა პასუხია? უკეთესი, თუ ცოლი გყავთ! მეც ქმარი მყავს. აჰ, ჩემი საყვარელი ვალსი დაუკრეს, არ გინდათ დავპროწიალდეთ!

— ბოდიშს ვითხოვ, ექიმებმა დამიშალეს...

— ოჰ! ამ ექიმებს ერთს დღეს გავწყობდი! ეგებ ეს უკანასკნელი თხოვნა იყოს და თქვენს ბაბუშკას ნუ აწყენინებთ, ეგრე! თქვენ, კაცებს სულ ხვეწნა გინდათ! მაგრად მომხვიეთ წელში ხელი, თორემ გაგისხლტებით. ეგ ხომ მაგრა არ არის? რა ბავშვის ღონე გქონიათ!

— მეშინიან, რომ არა გაწყინოთ, უპასუხა მორცხვად ნიკომ.

— que vous étez modeste, mon petit! მე თქვენ დაგენაძლიევებით, რომ რაც უნდა მაგრა მომხვიოთ ხელი, მაინც გაგიძლებთ.

ნიკომ მაგრად მოჰხვია ხელი.

— ჰო, ეგრე, რა ღონიერი ყოფილხართ! მაგრამ ეს ხელები რად გიკანკალებთ? ხომ არ გაგაცივებთ? ეხლავე გაგათბობთ. აბა მაშ: un, deux, trois!

და ორმოც წყვილში იმათი ჩქარი ტრიალი ყველას თვალში ეცა. ცეცხლმოდებული ვნებით აღფრენილი ნიკო თავის თავს არა ჰხოგავდა და გულში მიკრულს ვარინკას ჯარასავით ატრიალებდა. ვარინკაც გამარჯვებული ხან თავის გავარვარებულს სახეს მიუახლოვებდა და ცხელის სუნთქვით ლოყას უწვავდა, ხან დაღალული მის მხარს გადაჰყურებდა და თავის ქერა თმით ობობასავით ნიკოს თვალებს უხვევდა და უბრმავებდა.

— მეტს ველარ შევძლებ, ლამის წავიქცე! უთხრა ქანცით ნიკომ.

— პატარა კიდევ, ჩემო ნიკო. მე თითონ გეტყვი, საცა უნდა გაჩერდეთ, აი იმ გასავალ კარებთან... და იქიდგან დასასვენებელ ადგილამდე სულ ახლოა.. აბა, გაჩერდი. ხელი მომეცი და შეუმჩნევლად გავიპაროთ...

გათავდა ვალსი, გათავდა კადრილი, უკანასკნელი მარშიც დაუკრეს, მაგრამ ნიკო და ვარინკა იქ შესული აღარავის უნახავს..

პალიკო ყიფიანი

(შემდეგი იქნება

*) იხ. „ივერია" № 45, 46, 48, 49, 51, 52, 54, 55, 56, 57, 59, 61, 62 და 63.

ეგ სარჩელის გაწევა კიდევ ასე, თუ ისე შესაწყნარებელია. ამისთანა კაცს, როგორიც ბისმარკია, არ შეიძლება მოსარჩლე და მომხრე არა ჰყავდეს გერმანიაში და კარგა ბლომადაც ჰყავს. ხოლო საქმე იმაშია, რომ მარტო სარჩლსა და მომხრეობას არა სჯერდებიან. უნდათ, თვით იმპერატორსაც აბრუ გაუტეხონ გერმანიაში და ისევ სახელი ბისმარკისა მაღლა ატარონ. ყველამ იცის, რომ რესკრიპტმა მუშა-ხალხის შესახებ—ცოტა არ იყოს—სიყვარული მოუპოვა იმპერატორს ვილჰელმს და ბისმარკის გაზეთები სწორედ აქა სცდილობენ სახელი გაუტეხონ იმპერატორს. ამისთვის აი ამ ბოლოს ხანებში რა ხმა გაავრცელეს. ყველამ იცის, რომ იმპერატორმა დაითხოვა ბისმარკი თუ არა, უბოძა ჰერცოგობა და ამასთან შეუთვალა: გნებავს ფული და გნებავს მამული მიიღეთ კიდევ ჯილდოდ მრავალ გვარ ღვაწლისათვისაო. ეხლა ბისმარკის მომხრე გაზეთებმა ხმა დაჰყარეს, რომ ბისმარკმა არ ინდომა ჰერცოგობაო და ფულსა თუ მამულზედაც უარი სთქვაო ამ სიტყვით: ფულითა თუ მამულით საჩუქარს მე ვერ მივიღებო მაშინ, როცა მუშა-ხალხი ასეთს დიდს გაჭირებაში არისო.

არ ვიცით რამდენად მართალია ეს ამბავი. ხოლო ადვილად გამოსაცნობია რა განზრახვით არის მოგონილი. ეს მართალი, თუ მოგონილი სიტყვები ბისმარკისა, მდაბიურად რომ ითარგმნოს, აი რა გამოდის: შენ თუ მართლა გული გტკივა მუშა ხალხისათვის, იმათ რად აკლებ, იმათ, ვინც გაჭირებულია, და მე რად მაძლევო, მე, რომელსაც ჩემიც საკმაო მაქვსო. აშკარაა, ამისთანა პასუხი სადა სცემს. აშკარაა, ამისთანა ხმებით გული უნდათ გადუბრუნონ მუშა-ხალხსა მით, რომ თითქო ეუბნებიან: ნუ რა გჯერათ-რა, აი სიტყვით რას გიქადიან და საქმით რაებს სჩადიანო, ბისმარკი-კი სხვა კაცია, იმას საქმით უყვარხართ და არა ცარიელის სიტყვითაო. არ ვიცით, რამდენად გასჭრის ამისთანა ოსტატობა და მანქანება ბისმარკის მომხრეებისა, ხოლო ეს ამბავი იმის მომასწავებელია, რომ გერმანიას შინ განხეთქილება მოელის, რაკი აქამდე მივიდა საქმე. როგორც დასაწყისისაგან სჩანს, ეს განხეთქილება უმისოდ არ ჩაივლის, რომ თანდათან უფრო და უფრო არ გაფიცხდეს, არ გამწვავდეს. თუ ეს გამართლდა, მაშინ გერმანია საგარეოდ იმოდენად ვეღარ მოიცლის და ისე თამამად და გაბედულად აქედ-იქით ყურებას ვეღარ დაიწყებს, როგორც აქამომდე. ამას მოჰყვება ის, რომ შინ აწეწილს გერმანიას მოკავშირენიც გეუკრილდებიან, იმიტომ-რომ პოლიტიკაში შინისაგან მოუცლელი მომხრე ბარგია, ტვირთია და არა შვება. საფრანგეთს მეტად უხარიან, რომ გერმანიის შინაური საქმე ასე აიშალა. დღეს აქამომდე გერმანია სიხარულით იფშვნეტდა ხელებს, რომ ამისთანა ცუდს მდგომარეობაში იყო საფრანგეთი, და ეხლა სიხარულის ჯერი საფრანგეთს ერგო. ბევრს იმედი აქვს, რომ ეს შინაური აშლილობა უსათუოდ მოხდება გერმანიაში და იქნება იქამდე მივიდეს, რომ გერმანია უკან ჩამოაყენოს და ევროპაში გაბატონებისათვის სხვა რომელმამე დიდმა სახელმწიფომ წამოიწიოსო. ეს-კი ვიცით, რომ ამ დიდთა სახელმწიფოთა შორის ავსტრია და იტალია ამისათვის უღონონი არიან.

## ახალი ამბავი

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობას დეპეშა მოუვიდა სადგურ ნატანებიდგან, რომ იქ ალაყის ანუ „ტორმაზის“ კონდუქტორი ათანასე ლიუცენკო ჩავარდნილა მატარებელ ქვეშ და საბრალოსათვის მარცხენა ფეხი მოუტეხნია.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ ნ ილია წინამძღვარიშვილს მოსვლია წერილი იალთას ნიკიტსკის ბაღის დირექტორისაგან. დირექტორი სწერს, რომ თქვენის სკოლის შეგირდები ჩვენს სასწავლებელში მშვენივრად სწავლობენო, ასე რომ არც ერთს საგანში 4-ზედ ნაკლები ნიშანი არ უზითო.

*** დღეს, 25 მარტს „ტფილისის სამუსიკო კრუჟოკში“ დანიშნულია მეოთხე სასულიერო კონცერტი „მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ერთმანეთის დახმარების საზოგადოების სასარგებლოდ. სამუსიკო კრუჟოკი“ იმყოფება გრიბოედოვის ქუჩაზედ, № 6.

*** სოფ. სახაინდრავო (სენაკის მაზრა): 20 მარტს, დილის ექვს საათზე, მარტვილში დატრიალდა დიდი უბედურება და ჩვენი უძველესი ნაშთი წარსულის დიდებისა ტაძარი მარტვილისა და მისი ზარები კინაღამ იმსხვერპლა შეუბრალებელმა ცეცხლმა. აი საქმე რა ნაირად მოხდა: ბერების სადგომში გათენების დროს ბუხრიდგან გაჩნდა ცეცხლი და მოედო სახურავს, ბერები-კი თავიანთ მოვალეობაში და ლოცვაში იყვნენ, ცეცხლი-კი ვერ შეუნიშნავთ, მინამდის ქვემო ვაკეზე მდებარე დაბა ნაოლალევიდგან სასამართლოს სეკრეტარი ბ-ნი აბაშიძე, პოლიციის ბოქაული ჯაჯანიშვილი და სხვები არ მიეშველნენ შენობების გადარჩენას, ესე იგი მღვდელ მთავრის სასახლისა და ბერების სადგომებისა; ამაოდ შეიქმნა, რადგან ერთის სადგომიდგან მეორეში ქარის წყალობით სწრაფლად გადადიოდა ცეცხლი და იმ მაღლობზე წყალიც ვერ იშოვეს დროზე; ავეჯეულობა ზოგიერთი გადარჩა და ბევრი ძველი ნივთები მღვდელ-მთავრის სასახლისა დაიღუპა. სამაგალითო მხნეობა და თავდადებულობა გამოიჩინა ამ შემთხვევაში ერთმა გლეხ-კაცთაგანმა გვარად გვალიამ. როდესაც სამრეკლოს ხის მასალებს გაუჩნდა ცეცხლი და სუყველანი გულის კანკალით თვალ-ცრემლიანები შევყურებდით ჩვენის ძვირფასის ზარების დაღუპვასა, ამ გვალიამ მოაჰრევია დიდი გრძელი ხე, რადგან კიბით არ შეისვლიბოდა, თავ-მოძულებული მიდებულ ხით ავიდა შუა გულ ცეცხლში, თოკით აზიდულ წყალს თითონაც ისხამდა ტანისამოსზე და ცეცხლსაც ასხამდა, მინამდის არ მოსპო ცეცხლი და ამ ნაირად არ გადაარჩინა ზარები. ტაძარს ღვთის მოწყალებით ბევრი არა დაშავებია-რა, თითონ გლეხი-კი გარუჯულ-გაშავებული ჩამომწვარ ტანსაცმელით ძლივს ჩამოვიდა ცოცხალი.

*** სოფ. დაბლა-საქარა (შორაპნის მაზრა): აგერ მეთერამეტე წელიწადში გადმოვედქით მას აქეთ, რაც ჩვენს სოფელში გამართულია საეკკლესიო სამრევლო სკოლა. ამ სკოლის წინანდელი მასწავლებელი ეხლა მღვდელი ფ. ბ—ძე გულ-მოდგინედ ასრულებდა თვისს მძიმე მოვალეობას. ეხლანდელი მასწავლებელიც ერთგულად ადგია თავის საქმეს და სწევს თვის მძიმე უღელს. ამ სკოლიდგან გამოსულნი შეგირდები დღეს დაუყვედრელს ლუკმა-პურს სჭამენ თავიანთ ცოდნითა. ამ ჟამად ამ ჩვენს საყვარელს სკოლაში სწავლობს 65 შეგირდი. იმის შემნახველს მღვდელს ფ. ბ—ძეს და მასწავლებელს ი. ბარბაქაძეს განზრახვა აქვთ, რადგანაც სადგომი დაძველდა, ეკკლესიის გალავანში გადაიტანონ და ააშენონ ხელ-ახლად და შესწირონ ეკკლესიას. იმედია, რომ ამ კეთილის განზრახვის განხორციელებისათვის ჩვენი საზოგადოება მცირეოდენს შემწეობას აღმოუჩენს და არც იმერეთის საეპარქიო სასწავლებლის საბჭო დააგდებს უყურადღებოდ და მცირეოდენს შემწეობას მოაწოდებს.

*** იქიდამვე: ჩვენსკენ მოხდა შემდეგი საზარელი ამბავი: წარსულს ქარიან დღეებში გლეხის დ. ნებიერიძეს სახლს შუაღამეზე გაუფრთხილებლობისა გამო ცეცხლი წაეკიდა და სულ შთანთქა ცეცხლმა, თუ რამ გააჩნდა: სახლი, სიმინდით სავსე სასიმინდე, მარანი, ტანისამოსი, ბარგი და ერთი თუმანი ფული. საწყალს ორი ქვევრი ღვინო-ღა დარჩა მიწაში ჩაგდებული.

*** იქიდამვე: ჩვენს სოფელში ერთი აზნაურია დ. ბ—შვილი 55 წლისა და სიყრმიდგანვე პაპიროზს სწევდა, ასე რომ ღამეც ხელში ეჭირა და დღეც. ამ ჩვეულებამ ისრე გაახმო, რომ ცარიელი ძვალი და ტყავი იყო: ვერც ჭამდა, ვერც სვამდა და ძლიერ ახველებდა. ეს სამი წელიწადია, რაც თამბაქოს წევას თავი დაანება. მასუკან ისრე გასუქდა, რომ ტყავში აღარ ეტევა. ერთის სიტყვით სრულებით მორჩა კაცი. ჩვენს თამბაქოს მწეველებსაც ურჩია: «მაწყინარი და მაზარალებელი“ არისო და თავი დაანებეთო. გაუგონეს ზოგიერთებმა მისს არა მტრულს რჩევას და გადააგდეს თამბაქოს წევა და შესანიშნავი ცვლილება მოხდა: ვისაც ფერ ხორცი არ ჰქონდათ, დღეს თურაშაულ ვაშლივით არიან, ვისაც ჯან-მრთელობა აკლდა, ღონეზე მოვიდა და სხვ.

*** იქიდამვე: აქ ძლიერ კარგი ამინდები იყო, ასე რომ ხეხილი გაიშალა. ამ ხანად-კი წვიმიანი დღეებია, რის გამოც გლეხები მწუხარებას მიეცნენ: ვაი თუ სიცივემ მოწვას და გაგვიფუჭოს ხეხილიო.

*** იქიდამვე: ჩვენს სოფელს გვერდზე აკრავს ს. ქალატყე. ამ სოფელში გაჩნდა ყვავილი სახადი. თუმცა ჯერ არავინ მოუკლავს, მაგრამ კარგს იზამდა ჩვენი შორაპნის მაზრის მკურნალი, რომ ერთი „ვაქსინატორი“ (ამცრელი) გაეგზავნა და აეცრა ყვავილი მცირე-წლოვანთათვის.

*** რუსულ სატყეო ჟურნალის (Руский лѣсопромышленникъ) მე-№4—№5-ში ჩამოთვლილია საქართველოს ხენი და მოყვანილია მათი მოკლე აღწერა. ავტორს ეტყობა კარგად შეუსწავლია ჩვენი ქვეყნის მცენარეულობა, ხოლო ერთი უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული სახელები ხშირად დაუმახინჯებია. მაგალითად ძელ-ქვას მაგიერ დაწერილია ძელ-კოვა. დასასრულ ავტორი ამბობს, რომ კავკასიის მემამულენი კარგს იზამდნენ, თავის საკუთარ სარგებლობისათვის მაინც გააცნობდნენ რუსეთისა და სამზღვარ გარეთის ოსტატებს, რა და რა ხე ხარობს მათს მამულშიო. თუ რა გვარად შეიძლება ხეთა აღწერა, ამის ნიმუშს მოგვყავს იმავე ჟურნალიდამ. წაბლი „Casfanca vulgaris lam“ მოულოდნელადაც ხარობს მხოლოდ საქართველოში. ხის ცილა მაგარია, მძიმე, გამძლო, ყვითელი. გამოსადეგია საშენო, სავეჯო მასალად და სხვა ფრივაც.“ მისი ნაყოფი ხომ რაღა თქმა უნდა, სასარგებლოა. ზოგიერთგან წაბლის ხეს სალობავადაც ჰხმარობენ.

*** წლეულს რუსულ ჟურნალის „Бѣстникъ обществ. втеринаріи“-ის 1-ლ №-ში დაიბეჭდა საქართველოდგან შევალიეს მიერ წარგზავნილი წერილი, რომელშიაც ავტორი ამტკიცებდა, რომ დროა საქართველოშიაც შემოვიღოთ 3 ივნისის 1879 წლის კანონი, რომლის მიხედვით მთავრობამ ჭირიანი საქონელი უნდა შეისყიდოს და დაჰხოცოსო. მხოლოდ ამ ღონის-ძიებით შეიძლება დროიანად მოისპოს საქონლის ჭირიო, ამბობდა შევალიე. მაგრამ, საუბედუროდ, ამ გვარ გონიერ კანონის გავრცელებას საქართველოში მოწინააღმდეგეები ჰყავსო, სხვათა შორის, მოწინააღმდეგენი არიან თვით აქაური ბეითალებიცაო. ყველა ეს მოწინააღმდეგენი ამბობენ: 1879 წ. კანონის შემოღება შეუძლებელია იქ, სადაც ჯერ მკვიდრნი ნადირი ხალხია, სადაც თვით ხალხი მოწინააღმდეგეა ამ ღონის-ძიებისა, სადაც ადგილობრივი ვითარება შეუძლებელ ჰყოფს 3 ივნისის 1879 წ. კანონის შემოღებასაო. მაგრამ ყოველივე ეს სიცრუეაო, დასძენს შევალიე. ხალხი აქ სრულიად მომზადებულია, რომ 1879 წ. კანონი შემოღებულ იქმნას. ბ-ნ შევალიეს წერილის გამო იმავე ჟურნალის მე-5 №-ში დაბეჭდილია ვრცელი მეთაური წერილი და მის შემდეგ ბ ნ ბოლოტოვის პასუხი შევალიეს მიმართ. მეთაურ წერილში ავტორი შეეხება საზოგადოდ რეფორმების შემოღებასა და გავრცელებას და აღნიშნავს იმისთანა კაცებს, რომელნიც რუსეთის განაპირა ქვეყნებში გამონახვენ ხოლმე რაღაც ადგილობრივ განსაკუთრებულ ვითარებას და ამტკიცებენ, რომ ამა და ამ რეფორმისათვის ესა და ეს ქვეყანა ჯერ მოწიფული არ არისო. ასრე მოუვიდა 1879 წ. კანონსაც. ამ კანონის ძალა გავრცელებულია ჩრდილოეთ კავკასიაშიაც, ხოლო დასავლეთ მის ნაწილისთვის დღესაც ზოგიერთს ნაადრევი ჰგონიათ. ამ გვარ კაცთა შორის არის თვით ბოლოტოვიცაო. იგი ერთის მხრით ახალს წესებს ესარჩლებაო, ჰსურს იმათი გავრცელებაო, მაგრამ მეორეს მხრით ადგილობრივ გარემოებათა გამო—ამ წესების გავრცელებას საჭიროდ ვერა ჰხედავსო. ამისთანა კაცების მსჯელობის თავი და ბოლო არის შჩედრინის თქმულებაო: „Нужно признатся — но нельзя не сознаться“. კიდევ ბევრი საინტერესო ცნობებია მოყვანილი ამ ჟურნალის მე-14 —№-ში საქართველოს შესახებ.

*** გორი: ამას წინად გაქცეულა გორის ციხიდამ პატიმარი ჯლანტიაშვილი, რომელიც ტივზედ დამჯდარა და ჩასულა გრაკლის რკინის გზის სადგურამდე; მერე იქიდამ წასულა სოფელ სასირეთს და თავი შეუფარებია სოფელ მთა დეკულას (?) ვიღაც ნათესავ გლეხ კაცთან. პატიმარს უკან დაედევნენ ციხის უფროსის ზ. ყიფიანის და მაზრის უფროსის განკარგულებით და მესამე დღეს შეიპყრეს ისევ ჯიანტიაშვილიო.

*** „გაზ. ნოვ. ობ.“-ე ამბობს, რომ ბ-ნი ბობროვსკი აპირობს გაჰმართოს ტფილისში ამ დღეებში „ტფილისის საქიმიო ლაბორატორია“ და ამზადოს უფრო სამკურნალო საპნები და საკოსმეტიკო მასალაო.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ 24 მარტს ბაქოში მოვიდა სპარსეთის შაჰის პირველი მეუღლე, რომელიც ვენას მიდის და იქ უნდა იწამლოსო.

*** 22 მარტს ღამე ქურდები შეპარულან ტფილისის საქალაქო გამგეობის სადგურში და უცდიათ გატეხა ყუთისა, სადა ქალაქის ფულიინახება, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ. რამდენსამე მოსამსახურეს გამგეობისას პოლიციამ ჩვენება ჩამოართვა ამ საქმის გამო.

*** გაზ. „Нов. Вр.“ ამბობს, რომ მუზეიმ „Иимператорское общ. любит. др. письменности“-სამ შეიძინა მეტად ძვირფასი და დიდად საინტერესო ქართული მინიატურა (ნახატი), რომელიც ეკუთვნის მე-XII საუკუნეს და წარმოადგენს ერთ-ერთს მახარებელსაო.

*** „Нов. Вр.“ იწერება, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რჩევით უწმ. სინოდს განზრახვა აქვს შემოიღოს სასულიერო სემინარიებში სწავლება მეურნეობისა. მეურნეობის ძწავლება შემოღებული იყო სემინარიებში წინადაც 1840—1866 წლამდეცა. ამ საგნის სწავლების შემოღებას აზრად აქვს სასულიერო წოდების მდგომარეობის განკარგების გარდა ისიცა, რომ სოფლად მოიფინოს უკეთესი წესები მეურნეობისა მეურნე მღვდელთაგან.

*** მარტის 23, პოლიციის პირველს ნაწილში, სამხედრო სასამართლოს სახლს უკან იპოვნეს სამის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს, პოლიციის მეხუთე ნაწილში, პოლიციელმა შეიპყრო სათადარიგო ჯარის-კაცი გაბიდულლა სიგატელინი, რომელმაც ტფილისის ცხენის რკინის გზის დირექტორს მოჰპარა 6 მანათად ღირებული ქურქის ბეწვის საყელო. დამნაშავეს ოქმი შეუდგინეს და მეათე პოლიციის ნაწილში წარგზავნეს.

## დივიდენდის გამო

ივერიის მე-53 და 55 №№ დაბეჭდილია მოწინავე წერილები შესახებ იმისა, თუ რა გვარი მოსაზრება ტრიალებს ჩვენს საზოგადოებაში დივიდენდის თაობაზე. დამწერი დიდს მეცადინეობაშია, არ აღიაროს თავის პიროვნული აზრი ამ საგანზე და ლამობს ვრცლად მოიყვანოს საბუთები როგორც დივიდენდის მომხრეებისა, ისე მოპირდაპირეთა. ჩვენ, რასაკვირველია კვალდაკვალ ვერ მივყვებით ამ საბუთების გამოკვლევას—ეს ხალიან გააგრძელებდა საუბარს—ამოვარჩევთ

მათ შორის მხოლოდ უმთავრესს და იმაზე შევაჩერებთ მკითხველების ყურადღებას. „დივიდენდიო, ბძანებენ იმისი ბაირახტარები, არის სამატი ჯამაგირისა; იმ აზრზეაო დამყარებული, რომ გამრჯელს საქმის მოგებაში წილი ედოს იმ სახით, რომ გასამრჯელომ იმატოს მოგების კვალობაზე“. ამ გვარი საქმის წყობილება «სახეიროა ყოველთ უწინარეს თითონ საქმისათვის, რომელსაც მშრომელი უფრო ხალისიანად ეკიდება». ეს რომ ითქმოდეს, ზნეობრივი საბუთია დივიდენდის არსებობის საფუძვლიანობისა. ნივთიერი საფუძველი-კი ის ყოფილა, რომ ბანკში მოსამსახურეთა ჯამაგირი გაცოტავებულია მინიმუმამდე, რომელიც მაინც-კი შეიჯერებს მშრომელს დივიდენდის გამორკვევამდე“ უდივიდენდოდ-კი იგი (მშრომელი) მოითხოვს მეტს და იმოდენ მეტს, რომ შესაძლებელ ნამეტნავამდე გასჭრას ე. ი. თავის მაქსიმუმამდე აიყვანოსო“. თუ მართლა ეს არის მედივიდენდელების საბუთები, სწორე მოგახსენოთ, ვერაფრად დასაწრმუნებელი და შესაწყნარისი ყოფილა იმათი მოსაზრება ამ საგანზე. ჯერ ერთი, რაც შეეხება საქმის უფრო ხალისიანად მოკიდებას: ჩვენ გვგონია, რომ ყოველი რიგიანი და პატიოსანი კაცი თუ კი რაიმე საქმეს ჰკიდებს ხელს, იმდენს ხალისს და შრომას შესწირავს, რამდენსაც იმაზე მინდობილი საქმის წარმატება მოითხოვს—ეს არის რიგიანობის და პატიოსნების შინაგანი თვისება,—და თუ ვინმე ამ მოთხოვნილებას არ ასრულებს ჯეროვანის ზომიერობით ის უარ-ჰყოფს ხსენებულ ზნეობის დედა ბოძს; მანამ კაცი რაიმე საქმეშია, ის მხოლოდ ამ მოთხოვნილებით უნდა ხელმძღვანელობდეს; რასაკვირველია, ძალას ვერავინ დაატანს, გინდა თუ არა, ამ საქმეს შესწირე შენი სიცოცხლეო; თავისუფლება საქმის არჩევანში აქაც ისე შეურყეველია, როგორც ყოველგან; მაგრამ, მანამ საქმისათვის თავი არ დაგინებებიათ, ვიმეორებთ, არავითარი უფლება არა გაქვთ, მოაკლოთ იმას თქვენი ხალისი და შრომა; თუ არა, და რასა ჰგავს მოთხოვნილება, თუ ბევრს მამცემთ, ხალისიანად მოვეკიდები საქმესაო თუ არა და აინუნშიაც არ ჩავიგდებ იმის უკეთობასო.

მეორედ, თუ მართლა ბანკის ავკარგიანობა დამყარებულია მხოლოდ მწარმოებელთა ხალისზე, მაშინ ესენი პასუხის მგებელნი უნდა იყვნენ ყოველ შემთხვევაში, თუ წილსა თხოულობენ მოგებაში, რომელიც ვითომ წარმოსდგება იმათის მეცადინეობიდგან და ხალისობიდგან, მაშ, რასაკვირველია, წილი უნდა ირგუნონ ზარალშიაც, რადგანაც ეს უკანასკნელი განიხილება, როგორც შედეგი იმათის დაუდევრობისა; მაგრამ საქმის მოხელენი ამას არ კისრულობენ: მოგებაში წილი გვედოო, ზარალში-კი უკაცრავად ნუ ვიქნებითო. საკვირველი საქმეა.

მესამე საბუთი დივიდენდის მომხრეებისა ის გახლავთ, რომ აწინდელი ცარიელ-ტარიელი ჯამაგირი ბანკის მოხელეთა თურმე ის მინიმუმია, რომელზედაც ნაკლები წარმოსადგენიც არ არისო. არ ვიცით საიდგან წარმოსდგება ეს დასკვნა. ვის გამოუკვლევია ის რაოდნობა, რომელიც შეადგენს ამ მინიმუმს. აქ, რასაკვირველია, აღნიშვნა იმის, თუ რა არის საერთოდ ეს მინიმუმი, ძნელიც და უალაგო იქნება. ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ შედარებით განხილვა; შეტოლებით-კი რომ ვიხსენიოთ, შინაარსი ბანკის მოხელეების ჯამაგირის სიებისა ისე უნუგეშო და გულ შემაწუხებელი არ არის, როგორც დივიდენდის დამცველები ბრძანებენ. რომ ბევრი ლაპარაკი არ მოგვინდეს, შევუდაროთ ამ სიებს ჯამაგირის სიები იმ დაწესებულებისა, რომელიც ჩვენთვის არა ნაკლებ სასიქადულო და ძვირფასია — საზნაურო სკოლისა. შედარება ძალიანაც კანონიერი და ჯეროვანია, რადგანაც ამ ორთავე საქმეში მოღვაწენი პირნი ერთისა და იმავე განათლებულის წრისა არიან, ერთსა და იმავე სასწავლებლებში უსწავლიათ და შრომა ხომ, რასაკვირველია, მასწავლებელთა არა ნაკლები აღგიათ, ვიდრე ბანკის მოხელეთა. აბა ახლა გაშინჯეთ ჯამაგირები თუ გინდ საქმეების მოთავეებისა, თუნდა შუათანა მოხელეებისა და დარწმუნდებით, რომ გოდება ბანკის მოხელეებისა უსაფუძლოა.

უდივიდენდოდ-კი მშრომელი მეტს ჯამაგირს მოითხოვსო, ეცდება მაქსიმუმამდე აიყვანოსო. აქაც ის უნდა ვსთქვათ, რაც მინიმუმის თაობაზე ითქვა. სად არის საზღვარი ამ მაქსიმუმისა და თუ გინდ გავსაზღვროთ კიდეც, რად უნდა მოველოდეთ, რომ ბანკის მოხელენი ისე ძალიან ასწევენ ფასს თავის შრომისას—რა საბუთი ექნებათ ამისათვის. ნუ თუ იმათი შრომა ან რაოდენობით, ან შინაგანის ღირსებით უმაგალითო რამ არის, ნუ თუ ბანკის საქმე ისეთი რთული და ძნელი მისახვედრია, რომ იმის წასამართად უსათუოდ დევ-გმირნი და გენიოსები არიან საჭიროა!! მთელი განათლებული ქვეყანა იმ აზრისააო, განაგრძობენ დივიდენდის მომხრენი, რომ გამრჯელს წილი ედოს საქმის მოგებაში და ჩვენში-კი უარს-ყოფენო ამ გვარ ურთიერთობასაო. ეს შედარება აქ უალაგოაო, ამიტომ რომ იქ, უცხოეთში, სადაც მაგ გვარი საქმის განწყობილება სუფევს, იქ ორი მხარე ინაწილებს მოგებას: საქმის პატრონები, რომელთაც შეაქვთ ფული, და საქმის მწარმოებელნი; იქ ეს განაწილება ისე ხერხდება, რომ ფულის პატრონნი იღებენ ათს, შრომის წარმომადგენელნი მხოლოდ ცალს, ჩვენის ბანკის საქმეში მოგების ამ გვარ-განაწილებას-კი სრულებითაც ვერ ვხედავთ: თვითეულ ბანკის პატრონს— ფულის შემტანს აქამდინ არა თუ ერთი გროშიც არ უნახავს ბანკის მოგებიდგან, არამედ ყოველს მამულის დაგირავებაში იხდის ნამატს ხარჯს, თავის ჯიბიდგან იღებს იმ განსხვავებას გირავნობის ფურცლების ნომინალურ და ნამდვილ ფასთა შორის, რომელიც (განსხვავება) ზოგსა და ზოგ წელიწადს ასზე ათ, თორმეტ მანათს შეადგენდა. წლიური ბანკის გადასახადი ხომ მძიმე ტვირთად აძევს ამ საქმის პატრონს. მაშ თუ საქმის პატრონები მოკლებულნი არიან ამ დივიდენს, საქმის მწარმოებელთ რაღა უფლება აქვთ, მოითხოვონ, ნაწილი მოგებისა ჩვენი უნდა იყოსო? ის არ ეჯობინებოდა საქმისათვის, რომ ეს მოგება მთლად დამფუძნებელ და დამზოგველ კაპიტალად ჩარიცხულიყო თუნდ იმ განზრახვით, რომ გირავნობის ფურცლების ნამდვილს ფასს აეწევინა და ამით შემსუბუქებულიყო ნამატი ხარჯის რაოდენობა. მაგრამ სამამულო ბანკის მოზიარეებს სხვა საქმეცა აქვთ უფრო დიადი და საჭირო: ეს სკოლის, განათლების საქმეა; ამის ერთად ერთი საკვებავი წყარო ბანკია; აი ამ საქვეყნო საქმისათვის ვთხოულობთ, რომ დივიდენდის მომხრეებმა არ დაივიწყონ შემდეგი: თუ მომავალი თაობა სიყვარულით მოიგონებს თავიანთ წინაპართა, მოიგონებს იმითი-კი არა, თუ ვის რამოდენა დივიდენდი ერგოო, არამედ იმითი, რომ მამა პაპებმა კერძო ინტერესი შესწირეს საქვეყნო საქმეს და ამითი ფართო გზა გაუხსნეს იმას.

ბოლოს არ შეიძლება არ მოვიყვანოთ კიდევ ერთი მოსაზრება დივიდენდის მომხრეებისა მოწინააღმდეგეების შენიშვნაზე, რომ, შესაძლოა დივიდენდი ერგოს არა იმ პირს, რომელსაც შრომა გაუწევია ბანკისათვის, არამედ ახალ დანიშნულს ამორჩეულს; დივიდენდის მომხრენი ამბობენ: „არ არის არც ერთი იმისთანა საქმე ქვეყანაზე, რომ წინა თაობის ნათესს მომდევარი თაობა არა მკიდეს“. უკაცრავად ნუ ვიქნებით დივიდენდისტებთან, იმათ ცოტა არ არის რომ არევიათ ცნებანი. ხსენებული მხარე ბაასისა სრულიადაც არ შეეხება რომელსამე თაობას, აქ ლაპარაკია ცალ-ცალ, თვითეულ ადამიანზე: პეტრე მსახურებდა ათ წელიწადს და მშვენიერად წაიყვანა იმისთვის ჩაბარებული საქმე; მეთერთმეტე წელიწადს პეტრე მოკვდა, ალარ ამოარჩიეს; იმის მაგიერს დამდგარს პავლეს წლის თავზე ერგო უზარ-მაზარი დივიდენდი—აქ ამას კითხულობენ: აქვს პავლეს რაიმე ზნეობრივი უფლება თავის თავზე მოიხმაროს ეს ფული? არაო, ამბობენ დივიდენდის უარ-მყოფელნი: ამიტომაც დივიდენდი ამ მხრითაც შეუწყნარებელიაო. აქ ძველი და ახალი თაობა არაფერ შუაში არ არიან, დიახ, ერთის პეტრეს ან პავლეს მაგიერ, რომ რაც საქართველოში პეტრე და პავლეები არიან სულ ზემოხსენებულ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ, მაშინ კიდევ შეიძლებოდა თქმულიყო, რასაც დივიდენდის მომხრენი ამბობენ, მაგრამ იქ, სადაც ეს ნამატი ჯამაგირისა მხოლოდ ერთს ულბობს გულს და დანარჩენებს ცარიელ სტოვებს, იქ მთელის თაობის ინტერესზე ლაპარაკი შეუძლებელია.

ნ. ხ.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Моск. Церков. Вѣдом“-ში ერთი საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ბ-ნის ფორსისტანსკისა. წერილი შეეხება ესრედ წოდებულს „ხაჩაგოლებს“, ოსმალეთისა და სპარსეთის სომხებს, რომელნიც რუსეთის სოფლებში ხალხს ატყუებენ და ფულსა სცინცლავენ. ბ-ნ ფორსისტანსკის სიტყვით,

„ხაჩაგოლები“, მივლენ თუ არა რამდენსამე რუსულს სოფელში, ცხენსა და პოვოსკას უიდულობენ, გრძელს თმა-წვერს იყენებენ და მღვდლის ანაფორას იცმენ. „ხაჩაგოლთა“ შორისაც არსებობს დიდ-პატარაობა და სამს დასად არიან განაწილებულნი: „გამოცდილი მატყუარა“ (პონერ არნოლდ), „პაწია მატყუარა“ (პსტიკ პონერ არნოლდ) და შიგრიკი (პონერ კტოლ). ამ უკანასკნელთ ვალად ადევთ უთვით იარონ ქალაქებსა და სოფლებში, შეძლებული და ცრუ მორწმუნე კაცები მოსძებნონ და ფულები დასტყუონ. ესენი თავისს თავს არქიელებად სთვლიან, მღვდლებად, მთავარ დიაკვნებად, იერუსალიმის პატრიარქის მიერ გამოგზავნილებად და უფრო ხშირად კი — იერუსალიმისა, ათონისა და სინაის მონოზნებად.

„ხაჩაგოლები“ მარტო იმას არა ჰკმარობენ, რომ ფულსა სცინცლავენ სხვას, ხშირად ამაზედ უარესსაც არ ერიდებიან.

ეპიტრახილს იკეთებენ, სასარებას იღებენ ხელში და მღვდელ-მოქმედებას ასრულებენ. ამასთან რადგან ყოვლისავე უცოდნელნი და უვიცნი არიან, ლოცვის მაგიერ რუსებს სომხურად დედასა და მამას უგინებენ ხოლმე და ფულს ართმევენ. ამ გვარ პარაკლისის გადახდის შემდეგ, უფროსი ხაჩაგოლი ქადაგებას იტყვის ხოლმე და აუწყებს ყველას, რომ ნურავის უამბობთ იმ ამბავს, რაც აქ მოხდა, ვინაიდგან ღმერთს არ ეყვარებითო. ხოლო ვინც ამ დადგინებულს წესს იერუსალიმის პატრიარქისას დაარღვევს, იმათს ლოცვა ვედრებას ღმერთი არ შეისმენს, და როცა ისინი (რუსის გლეხები) ჩვენს ამბავს პოლიციას უამბობენ, იერუსალიმის ტაძარში ყველა კანდელი ჰქრება, შექა-ქუხილი ასტყდება ხოლმე სინაის მთაზედ და რისხვას ღვთისასა არა აქვს საზღვარი! ასეთს ქადაგებას „ხაჩაგოლთა“ ენაზედ «შეკრა» ეწოდება (კაპელ). ღვთის-მოყვარე რუსის გლეხი ასეთს საზარელს სიტყვებს რომ მოისმენს ავაზაკისას, შიშით თმები ებურძგება, თავისი უკანასკნელი სარჩო-საბადებელი გამოაქვს, იმას აძლევს ძღვნად და ევედრება, რომ ღმერთს შეევედრე, რათა მოწყალე მექმნეს და შემინდოს ცოდვანი ჩემნიო.

ამ „ხაჩაგოლთა“ ასალაგმავად, ბ-ნ ფორსისტანსკის სიტყვით, საჭიროა, რომ

თეირანის მთავრობამ შესცვალოს სისტემა პასპორტების ძლევისა: 1) პასპორტებს სპარსეთის ქვეშევრდომი ჩარჩები-კი არ უნდა არიგებდნენ მოედნებზედ, არამედ სოფლის მამასახლისები (მელიქები), ან და საბჭო (მეჯლისი) ამ მამასახლისთა, რომელიც თითქმის ყველა მაზრაშია დაწესებული; 2) ეს პასპორტები გულდასმით უნდა განიხილოს რუსეთის უმთავრესმა საელჩომ, თავრიზს მყოფმა, რათა ნება არ მიეცეს რუსეთში გადმოსვლისა არც ერთს მცხოვრებს იმ ადგილისას, სადაც უფრო „ხაჩაგოლები“ მკვიდრობენო.

ისე კარგად მოგვითხრობს „ხაჩაგოლების“ ალიაფალს ბ-ნი ფორსისტანსკი, თითქოს ფორსისტანიანცი იყოს და თითონაც არა ერთ გზის ყოფილიყოს მათ შორისო.

**

გაზაფხულმა ფეხი გაიმაგრა და თავ. მეშჩერსკიმაც ახალი რამ გვაუწყა თავის სვე-ბედნიერს გაზ. „Гражданинъ“-ში, ისეთი რამ, რომლის აღმოჩენა თვით გაზაფხულის სითბო-სილამაზეს უფრო უნდა დაჰბრალდეს, ვიდრე თვით თავადს მეშჩერსკის.

გუშინაო, სწერს იგი: შევიტყე ერთის ჩემის მეგობრისაგან, რომ რუსეთშიაც ყოფილა ამ ქვეყნიური სამოთხე და რომ ამ სამოთხის ამბავი არავის ჩვენთაგანს, რუსებს, წარმოდგენითაც-კი არა ჰქონია წარმოდგენილი.

ეს სამოთხე, თურმე ნუ იტყვით, ჩვენი სუხუმი ყოფილა, რომლის არსებობაც, რაღა თქმა უნდა, ყველა გიმნაზიის მოწაფემ იცის, ყველამ, ვისაც-კი გეოგრაფია უსწავლია. მერე რა აქვს სამოთხისა სუხუმს, თავ. მეშჩერსკის აზრით? ისა, რომ სუხუმში ძალიან კარგი და მარგებელი ჰავაა, ზამთარი თითქმის სულ არა დგება, მცენარეულობით ბუნებრივ შემკულია, ხოლო უმთავრესად-კი თავადს მეშჩერსკის ის მიაჩნია სამოთხის შესადრისად, რომ

სუხუმში არც ერთი ცვლილება არ არის შემოღებული ამ ოც და-ათის წლის განმავლობაში. ეს ქალაქი ერთად-ერთი კუთხეა მთელს რუსეთში, სადაც კლასიკური „გოროდნიჩი“ იმყოფება და არა ნაკლებ კლასიკურივე ქალაქის დეპუტატი. მარტოდ-მარტო ეს თვისებაც კმარა, რომ სუხუმს ამ ქვეყნიური სამოთხე დაერქვას. სამოთხისებური ისა აქვს კიდევ სუხუმს, რომ ამ ქალაქში რუსეთიდგან ფოსტა ზამთარში კვირაში ერთხელ მიდის: კვირაში შვიდჯერ გამოიკაშკაშებს ხოლმე იქ მზე და გაზეთები-კი კვირაში ერთხელ მიიხედავენ იქით! რა მშვენიერებაა!

თუ ასეთს ამ ქვეყნიურს სამოთხეს ეძებს თ. მეშჩერსკი, უფრო კარგს იზამდა, რომ დაგომეის სამეფოსთვის გადაევლო თვალი, რადგან იქ სულ არ იციან რაღაც ცვლილებითა და რეფორმებით თავის შეწუხებაო, სამართლიანად დასცინის მეშჩერსკის გაზ. „Нов. Время“. ჩვენის აზრით კი, „Нов. Время“ დაცინვას არ ემართლება, რადგან მეშჩერსკი არა სტყუის და სუხუმი ამ ქვეყნიური სამოთხეა იმითი მაინც, რომ ვერც ერთს ნომერს „Гражданинъ“-ისას იქ სანთლითაც ვერ მოსძებნით!

# უცხოეთი

საფრანგეთი. ახალი მინისტრი გარეშე საქმეთა ალექსანდრ-ფელიკს-ჟოზეფ რიბო დაიბადა 1842 წელს. სწავლა მშვენიერად გაათავა იურიდიულს ფაკულტეტზე 1863 წ. და ჩაეწერა ადვოკატებში. მერე იუსტიციის სამინისტროში გადავიდა და იქა მსახურობდა 1876 წლამდე. მასუკან სულ საპოლიტიკო მოღვაწეობას მიჰყო ხელი. პირველად დეპუტატად აირჩიეს 1878 წელს, სწორედ მას შემდეგ, როცა წინააღუდგა მონარქიელებს და წევრად იყო იმ კომიტეტში, რომელსაც კანონიერი ღონის-ძიება უნდა ეხმარნა და მონარქიელებისათვის დაეშალა მონარქიის აღდგენა. 1881 წელს კვლავ იქმნა არჩეულ დეპუტატად. 1885 წელს-კი, როცა მონარქიელებმა ძლიერ გაიმარჯვეს, რიბო დამარცხდა და პალატაში ველარ მოჰყვა. მისი არ ყოფნა ძალიან დააკლდა პალატას. რიბო დიდად პატიოსანი და ზნე-მაღალი კაცი, დიდად განათლებული და შესანიშნავი მჭევრ-მეტყველი მოლაპარაკეა. ყველა ამ ღირსებათა გამო საკანონმდებლო კრებისათვის დიდად სასარგებლო იყო ხოლმე და ყველა, დასთა განურჩევლად, დიდის ყურადღებით ისმენდა მის გონიერს, საბუთიანს ლაპარაკს. 1887 წელს კერძო არჩევანებზე, რიბო კვლავ იქმნა არჩეული დეპუტატად. ეს ამბავი ძალიან ესიამოვნათ პალატაში, მეტადრე ფრეისინეს, მაშინდელს მოთავეს კაბინეტისას. უკანასკნელად მისი

სახელი, როგორც შესანიშნავის ორატორისა, დამტკიცდა მაშინ, როცა რიბომ წარმოსთქვა ძლიერი სიტყვა, რომ მღვდელს ნება არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკაში გარევისა და დასთა ბრძოლაში მონაწილეობის მიღებისა. ამას გარდა რიბო მეცნიერი კაციც არის და პროფესორად ითვლება ერთს მაღალ სასწავლებელში, სადაც კითხულობს ლექციებს საიურიდიო და საპოლიტიკო საგნების შესახებ. რიბო სწერს აგრეთვე და ძალიან ბევრსაცა სწერს ფრიად საფუძვლიანს იურიდიულს მონოგრაფიებსა და საპოლიტიკო წერილებს სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებში.

## წვრილი ამბები

გაზეთ „Кавказъ"-ში მოყვანილია ა. ფუიღნოვის მიერ ხოლერის შესახებ ცნობები ჯერ პეტტენკოფერისა და მერე კოხის თხზულებათაგან: პეტტენკოფერის გამოძიებამ დაადგინა შემდეგი: მაღლობსა და ქვიან ადგილებზე ხოლერა უფრო ნაკლებად ვრცელდება; გარდა ამისა ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა იმასა აქვს, თუ რამდენად არის მიწის ნიადაგში სისველე ანუ სინოტივე გამჯდარი. თუ მიწა საშუალოდ ნოტიანია, მაშინ იქ ხოლერა ადვილად გაჩნდება, თუ სინოტივე აკლია, ხოლერა ფეხს ვერ მოიკიდებს, და თუ ნამეტანის წვიმებით მიწის პატარა ხვრელები სულ ამოივსო წყლით და ან თუ თვით მიწას იმ-ნაირი თვისება აქვს, რომ სინოტივეს ძლიერად იზიდავს და ისვამს, მაშინ ხოლერა სრულიად გაქრება და ან სულ არ გაჩნდება. ამიტომ კირ-ნარევ მიწაში, თუ ცოტა სილაც ურევია, ხოლერა ადვილად გაჩნდება, როდესაც არც დიდი წვიმებია და არც სულ უწვიმობა. თუ წვიმები სულ არ ყოფილა, მიწა სრულიად უნოტიო და ხმელი იქმნება, და თუ დიდი წვიმები იყო, მაშინ ხომ ამ ნაირი ნიადაგი ხარბად შეისვამს წყალს და სულ გაიჟღინთება. მაშასადამე პირველ შემთხვევაში ამ ნაირი ნიადაგი ხოლერას ვერ აღმოაცენებს და მეორე შემთხვევაში, ე. ი. თუ დიდი წვიმები მოვიდა, სრულიად გააქრობს.

თუ მიწა ცალიერი სიპი ქვაა, იქ ხოლერა ვერ გაჩნდება. აგრეთვე სადაც ჰაერი ძალიან ხმელია და წვიმები ცოტა იცის, ვერც იქ შეუძლიან დაიბუდოს.

ამასთანავე სითბოსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და უფრო ხშირად ზაფხულში ჩნდება, ვიდრე ზამთარში.

გარდა ამისა თუ მიწის ნიადაგში დიდ-ძალი ორგანიული ნივთიერება ლპება, როგორც ყოველი გადამდები ავადმყოფობა, ისე ხოლერაც ძალიან ვრცელდება, რადგანაც დამპალ ცხოველისა და ან მცენარეობის ნივთიერება ჰკვებავს და ასაზრდოებს საზოგადოდ ყველა ბაქტერიებს.

კოხის გამოკვლევამ აშკარად დაგვიმტკიცა შემდეგი:

ხოლერა ჩნდება ერთ გვარის მიკროსკოპიულის ცხოველის, ანუ ბაქტერიასაგან, რომელიც მძეს ანუ ნამგალსა ჰგავს და ცხოველის წელებში ჰბუდობს. არც სისხლში და არც სხვა რამ სხეულის ასოში ეს ბაქტერია არ არის. იგი ძალიან ნაზია და სიმჟავისაგან იხრწნება. ხოლერიანების განავალში ეს ბაქტერიები მრავლის-უმრავლესად ფუსფუსებენ. ზოგიერთი ექიმები შიშსა და უშიშრობას აღარ დაერიდნენ, თავი გამეტეს და ამ ბაქტერიებით სავსე განავალი მიიღეს, რომ დაემტკიცებინათ მათი უვნებლობა, და მართლაც არაფერი არა დამართნიათ-რა. მაგრამ ეს ადვილი ასახსნელია. კუჭის სიმჟავე დახოცავდა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, დაარწნიდა ამ სუსტ არსებათ. თუ ცხოველს სოდა ასვით, ამით კუჭის სიმჟავე დაუწელეთ და მაშინ გადაყლაპვინეთ ეს ეგრედ წოდებული „კოხის ბაქტერიები", უსათუოდ ხოლერა გაუჩნდება. რადგანაც ეს ბაქტერია სისხლში არ არის, ამიტომ საფიქრებელია, რომ პირდაპირ არ მოქმედებს კაცზე, არამედ წელებში რაიმე შხამს გამოუშვებს თავისის ტანიდგან, ამ შხამს წელები შეისვამს და ამ ნაირად მოიწამლება ავადმყოფის მთელი სხეული.

კოხის მომხრეების მიერ ახლა შემდეგია დამტკიცებული: ხოლერა ვრცელდება უმთავრესად კაცისგანავალის მიერ. აი რა ნაირად: ხოლერის ბაქტერიებით სავსე განავალი ჩაირეცხება და ჩავა წყალში და თუ იქვე ნაგავსაც ჰყრიან, ბაქტერია გავრცელდება და ამ ნაირად მოწამლულის წყლით გადადის კაცის სხეულში. მაშასადამე, წყალი წმინდა და ანკარა ხოლერისათვის მომაკვდინებელია და მისი ბუდე მხოლოდ იქ არის, სადაც ჭუჭყი, მყვირე და ნაგავია.

გამოცდილებით იციან, რომ ხოლერა სავაჭრო-მრეცხავებს უფრო ემტერება, იმიტომ-რომ ჭუჭყიან ტანისამოსზედ ხოლერის ბაქტერიები ძლიერ მრავლდება. ამიტომ თუ გვინდა, ხოლერისაგან თავი ვიხსნათ, საცვალი ისე ხშირად უნდა ვრეცხოთ, რომ ჭუჭყი არ მივაკაროთ.

ხოლერა ვრცელდება ქალაქებში და რკინის გზის ახლო, რადგანაც მგზავრებს გადააქვთ გადმოაქვთ. გარდა ამისა შეიძლება ბაქტერიები ჰაერითაც გავრცელდეს. როდესაც ბაქტერია ჩაუვარდება კაცს სხეულში, იმ წამსვე-კი არ იმოქმედებს: 2—3 დღეს ადამიანი ვერაფერს ვერა ჰგრძნობს და მხოლოდ ამ ხანს იქით მოეკიდება და მოერევა.

— ბრიუსელში იუწყებიან პარიჟიდგან, რომ ყასბებიც აპირობენ პირის შეკვრასა და ყასაბხანის კეტვას, თუ მთავრობამ იმათი თხოვნა არ შეიწყნარა.

— „Standard"-ი იუწყება, რომ იმპერატორ ვილჰელმს განზრახვა აქვს სამინისტრო ყველა პარტიის წარმომადგენელთ გან შეადგინოს.

— ბერლინში გამოვა მალე ერთ წიგნად კრებული იმ კარრიკატურისა, რაც-კი ორმოცის წლის განმავლობაში ერთს გერმანულს საპოლიტიკო-სატირიულს ჟურნალს ბისმარკის შესახებ დაუბეჭდია. კრებულთანვე დაიბეჭდება თავადის ბისმარკის ოთხი წერილი ჟურნალის რედაქტორთან მიწერილი. ეს წერილები ამტკიცებს, რომ ბისმარკი დიდს ყურადღებას აქცევდა პოლიტიკურს კარრიკატურებს.

— რიუ, რომელსაც სტენლის თხზულების სურათების შედგენა აქვს შეკვეთილი, ჰპირდება სწორედ პარიჟის გაზეთს „Figaro"-ს: «სტენლი განდეგილსავით სცხოვრობს და დილის 6 საათიდგან შუაღამემდისა შრომობს, 640 ფურცელი უკვე დასწერა და სანამ არ გაათავებს თავის თხზულებას, მანამ ქაირიდგან არსად აპირობს წასვლას. დასაწერი დარჩა კიდევ 300—350 გვერდი. მხოლოდ ამ დღეებში ცოტა ხანს ჩემთან ერთად მდინარე ნილის ნაპირას სეირნობდა.

— ამას წინად ნილის სათავეში ვიყავი და იქ ვსვამდი ნილის წყალსაო, მითხრა სტენლიმ; სათავიდგან აქამდის ნილის წყალს შეუძლიან რვა თვეის განმავლობაში მოაღწიოს. მე რომ იქ წყალი დავლიე, მას აქეთ დაახლოვებით რვა თვე იქნება. მაშასადამე, შეიძლება ახლაც იმ წყალსა ვსვამდე, რომელიც მაშინ იქ დავლიე. რა არა-ჩვეულებრივი მოვლენა არის?»

## დეპეშა

24 მარტი

პეტერბურგი. გამოცხადებულია წესები რკინის გზით გადატან გადმოტანისა ადვილად ასაფეთქებელ ნივთიერებათა.

ლონდონი. „Times"ს სწერენ დეპეშით სტამბოლიდამ, რომ მინისტრთა საბჭომ მოიწონა პროექტი ოსმალეთის კონფერენციისა, რომლის შესასრულებლად საჭიროა მხოლოდ დამტკიცდეს ხონთქარის მიერ. პორტას ჩააბარეს რუსეთის ნოტა, რომელშიაც ზრდილობიანად, მაგრამ გადაწყვეტით არის ნათქვამი, რომ თუ პორტა აპირობს თავის სახელმწიფო ვალის გადახდას, მოვალეა პირველად გადიხადოს რუსეთის ვალი.

პეტერბურგი. ტფილისისა და ქუთაისის გირავნობის ფურცლებში იძლევიან 99 მან., ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციებს აფასებენ $87\frac{1}{2}$ მანათად.

პეტერბურგის ბირჟა, 23 მარტი.

| | მყიდველნია | გამყიდველნია | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ოქროს-მანეთიანი ოქრო | — „ | „ | 7 34 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | $147\frac{1}{4}$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | $230\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| —მეორისა | 217 | — „ | — „ |
| —მესამისა | $215\frac{1}{4}$ | — „ | $217\frac{3}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |


## განცხადებანი

ჩვენ წავართვით ძმათა პეტროკოკინოს ოდესის ფირმას იმის უფლება, რომ ჰყიდოთ ჩვენი.

საზოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად

საუკეთესო ღონისძიება

მთელის ქვეყნის პირზედ!

წავართვით იმ მიზეზით, რომ იგი საქვეყნოდ აღიარებულ ჩვენის ლითონთა საუკეთესო წასასმელის მაგიერ ყალბს წასასმელსა ჰყიდის, ჩვენის ფაბრიკის ყუთის მსგავსს ყუთში გაკეთებულს.

— შემომკვეთლებს ვთხოვთ პირდაპირ ჩვენ შემოგვიკვეთონ.




მყიდველებსა ვთხოვთ ყურადღება მიაქციონ აქ დაბეჭდილს სურათს ჩვენის ფაბრიკის მარკისას. ეს სურათი ლითონის წასასმელის ყველა კოლოფზეა. თუ კოლოფს ასეთი სურათი არა აქვს და მხოლოდ ამისი მსგავსია, ყალბი იქნება (26—9)

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სამეურნეო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმოდ:

**ვერმორელის აპარატები**

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), ტყავის საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმოდ".

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს. (50—3)

საწყობი

**მ. ადელხანოვისა და ამხ.**

ფაბრიკისა და ქარხნის საქონლისა

ერევნის მოედნისა და შუა ბაზრის კუთხეში, სახლი გენერალ ტერ-ასატუროვისეული.

მზა ფეხსაცმელები მამრთა და მდედრთათვის ახალის სხვა-და-სხვა ფასონისა ისყიდება წვრილ-წვრილად იმავე ფასად, როგორც ფაბრიკებში.

ტყავის საქონელი: სამოგვე (юфть) თეთრი და შავი, ყოველგვარ ხარისხის ცხენის ტყავი, თალათინები (აპოიკები), მეშები (საფიანები), კუმუსტები (ტაგრენები), დაჭიმული სამოგვე (юфтовыя вытяжки), ნახევრად მოთელილი ტყავის საქონელი (полувалы), ფეხსაცმლის ძირები ანუ ლანჩები (პადოშები), საუნაგირე და მოუქნელი ტყავები (сыро-мятныя кожи).

მოთელილი ნაბდების საქონელი

ყველა ხარისხის მოთელილი ნაბადი და ლეკური ნაბდები.

უმთავრესი კანტორა ტყავების ქარხნისა იმყოფება: ტფილისში, ერევნის გზა ტკეცილზე, საკუთარს სახლში. 10—3

ტფილისში ქალაქის შუაგულ, გოლოვინის პროსპექტზე, ბანკირის ჩითახოვის სახლში, კრუჟოკის გვერდზე, გამართე მდიდრულად მორთული ნომრები:

**„დ ა ნ ი ა"**

ყოველ მხრით მოხერხებული. ფასი თითო ოთახისა 60 კაპ. დაწყებული 5 მანათამდე დღე და ღამეში.

თთვეობით ბევრად ნაკლებ შეიძლება.

მსურველთათვის საბანებელი ვანაც არის: ცივისა და თბილის წყლისა.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურე ქალნი და კაცნი თავაზიანად და პატივის ცემით მოექცევიან მდგმურთ.

საჭმელ-სასმელი გემრიელია, შინაური, სუფთად გაკეთებული.

სადილი ორ-ფერი საჭმელი—55 კ. } მსურველთ ფინჯანი ყავა.
— სამ-ფერი საჭმელი—75 კ. }

გვყავს საკუთარი მოსარეცხე და იფრინდა აქეთ-იქით გასაგზავნად.

(30—9) ნომრების პატრონი პეტრე საყვარელიძე

სასტუმრო

**„პ უ რ - ღ ვ ი ნ ო"**

(გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრან-ბატონის სახლებში, კლუბს ქვეშ)

მუდამ დღე მზადდება ყოველ გვარი, ადგილობრივისა და ევროპიულს გემოვნებაზედ გაკეთებული, საჭმელი.

იმერულსა და გურულს საჭმელებს ამზადებს საგანგებოდ გურიიდგან მოწვეული მზარეული.

ორი თავი საჭმელი ღირს თითოეულად 12 მანათი. მსურველთ სახლებშიაც გუგზავნით.

სასმელები: გვაქვს ყოველ ნაირი ღვინო მუხრან-ბატონისა (იმისივე შამპანური ღვინო), კახური ღვინოები საუკეთესო ფირმებიდგან ბოთლი ორ აბაზიდამ, ვიდრე მანეთ ნახევრამდე.

ლუდები (პივო) ყველა ადგილობრივის ქარხნისა, აგრეთვე ადესისა და ჟიგულევსკის ქარხნებიდამ. ყოველ გვარი ტკბილი სასმელი (ლიკორები) და ახლვარ გარეთის ღვინოები.

სასტუმროში გამართული გვაქვს განსაკუთრებული სალხინო ოთახები (ცალკე კაბინეტები).

მოგვდის, ადგილობრივს გარდა, სატახტო ქალაქების ზოგი ჟურნალ-გაზეთიც.

ცალკე გამართული გვაქვს ფრანგული და რუსული ბილიარდები*). გვაქვს აგრეთვე ნარდი და ჭადრაკი (შახმატი).

სასტუმროსა აქვს ავეჯით მორთული ოთახები, რომელნიც დღიურად ღირს ათ შაურიდგან მანეთ ნახევრამდე.

ვინც თთვეობით აიღებს, დაეთმობა მთელის ფასის ერთი მესამედი.

სასტუმროს პატრონები: { ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.

*) რუსული ბილიარდი კავკასიის გამოფენაზე შევიძინეთ. ამ ბილიარდმა პირველი ჯილდო მიიღო. (25—14)


Доз. ценз. Тифлисъ, 24-го Мартъ 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ Меликъ д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე